

**დამტკიცებულია**

შპს "საქართველოს მყარი  
ნარჩენების მართვის  
კომპანია"-ს დირექტორი  
  
გიორგი შუხოშვილი

**შეთანხმებულია**

საქართველოს გარემოს დაცვისა  
და სოფლის მეურნეობის  
სამინისტროს სსიპ გარემოს  
ეროვნული სააგენტო

\_\_\_\_\_

" \_\_\_\_ " \_\_\_\_\_ 2022 წ.

\_\_\_\_\_

" \_\_\_\_ " \_\_\_\_\_ 2022 წ.

**სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი**

**არსებული ნაგავსაყრელის დახურვა და ახალი რეგიონული არასახიფათო  
ნარჩენების განთავსების ობიექტის ექსპლუატაცია**

**ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა  
ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის  
ნორმების პროექტი**

**თბილისი 2021 წ**

---

---

## ანოტაცია

პროექტი შედგენილია გარემოსდაცვითი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა სრული შესაბამისობით.

პროექტში ასახულია შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია” “-ს კუთვნილი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის (ნაგავსაყრელის) ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერული ჰაერის სტაციონარული დაბინძურების წყაროების მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები. გამოკვლევის შედეგად გამოვლენილია ატმოსფეროში დაბინძურებისა და გაფრქვევის 11 წყარო (მ.შ. ნორმირებას დაქვემდებარებული 8 სტაციონარული). ინვენტარიზაციის მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში შესაძლოა გაიფრქვეს  $\approx 1733,097$  ტ/წელ. დამაბინძურებელი ნივთიერებები (მათ შორის ნორმირებას დაქვემდებარებული  $\approx 1728,167$ ).

პროექტში განხილულია ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების ყველა შესაძლო ასპექტები, მოყვანილია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გაანგარიშებათა ჩატარებისათვის საჭირო საწყისი ინფორმაცია საწარმოს განვითარების პერსპექტივის, ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრთა და გაბნევის ანგარიშის გათვალისწინებით. დაბინძურების წყაროსა და მავნე ნივთიერებისთვის დადგენილია ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები.

ანგარიში შესრულებულია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის თანამედროვე ავტომატიზებული კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.

## შინაარსი

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ .....	5
2. საწარმოს განთავსების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება.....	7
3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა და დაბინძურების წყაროთა დახასიათება.....	8
3.1 ემისია არსებული უჯრედიდან (გ-3).....	13
3.2 ემისია საჩირადდნე მოწყობილობიდან (გ-9) .....	18
3.3 ემისია ახალი უჯრედებიდან (გ-2) .....	19
3.4 ნაგავსაყრელის ძირითადი კომპონენტები.....	25
3.5 ემისია დამხმარე ინფრასტრუქტურიდან და მანქანა მექანიზმებიდან .....	27
3.6 ემისია დიზელის რეზერვუარიდან (გ-1).....	27
3.7 ემისია საბურავების გამრეცხი აბაზანიდან (გ-4) .....	29
3.8 ემისია ნაჟური წყლების გამწმენდი სისტემიდან (გ-5) .....	30
3.9 ემისია მექანიკური უბნიდან -შედუღება (გ-6) .....	32
3.10 ემისია მძიმეწონიანი სატვირთო ავტოტრანსპორტის პარკირებისას (გ-7).....	35
3.11 ემისია ავტოტრანსპორტის პარკირებისას (გ-8).....	39
3.12 ემისია კომპაქტორის მუშაობისას (გ-10) .....	43
3.13 ემისია საგზაო სამშენებლო მანქანის (ბულდოზერი) მუშაობისას (გ-11) .....	46
3.14 ემისია საგზაო სამშენებლო მანქანის (ექსკავატორი) მუშაობისას (გ-12).....	49
4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა და დაბინძურების წყაროთა დახასიათება.....	53
5. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრები.....	54
6. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის ჩატარება.....	62
7. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები.....	98
8. ლიტერატურა.....	103
9. დანართები.....	104
დანართი 1. საწარმოს სიტუაციური რუკა.....	104
დანართი 2. საწარმოს გენ-გეგმა დაბინძურების წყაროების დატანით .....	105
დანართი 3. ატმოსფერულ ჰაერში გაბნევის ანგარიშის ამონაბეჭდი.....	106
დანართი 4. ნაჟური წყების ემისიის ანგარიში.....	123

## ძირითად ცნებათა განმარტებები

ა) "ატმოსფერული ჰაერი" – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;

ბ) "მაკვნი ნივთიერება" – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;

გ) "ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება" – ატმოსფერული ჰაერის შემადგენლობის ცვლილება მასში მაკვნი ნივთიერებათა არსებობის შედეგად;

დ) "ატმოსფერულ ჰაერში მაკვნი ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციის ნორმა" – ატმოსფერულ ჰაერში მაკვნი ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალოებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მაკვნი ზემოქმედებას;

ე) "ატმოსფერულ ჰაერში მაკვნი ნივთიერებათა საშუალო სადღეღამისო ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია" – ატმოსფერულ ჰაერში მაკვნი ნივთიერებათა კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით;

ვ) "ატმოსფერულ ჰაერში მაკვნი ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია" – ატმოსფერულ ჰაერში მაკვნი ნივთიერებათა მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30 წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების მიხედვით;

ზ) "ატმოსფერულ ჰაერში მაკვნი ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა" – ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროდან მაკვნი ნივთიერებათა გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მაკვნი ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს ამ წყაროს ზეგავლენის ტერიტორიისთვის დადგენილ მაკვნი ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს;

## 1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

ზუგდიდისა და ფოთის ორი ნაგავსაყრელი, რომელსაც ამჟამად საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია მართავს, დაიხურება, როგორც კი ამოქმედდება ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტი. სამეგრელო-ზემო სვანეთის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ადგილი წარმოადგენს მიწის ნაკვეთს, რომელიც ნაწილობრივ გამოიყენება ქ. ზუგდიდის, ამჟამად მოქმედი ნაგავსაყრელისთვის (37 T- X= 727733.25; Y = 4698639.10). ნაკვეთი მდებარეობს ქალაქ ზუგდიდის ცენტრიდან სამხრეთ-დასავლეთით, 18 კილომეტრის მანძილზე. მთლიანად ნარჩენების განთავსების ობიექტისთვის ნარჩენების განთავსების ობიექტთან საგზაო წვდომა შესაძლებელია თბილისი-სენაკი-ლესელიძეს ავტომაგისტრალის მეშვეობით, ანაკლია-ხოვის გადასახვევიდან დაახლოებით 2 კილომეტრში. მიწის ნაკვეთი საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის საკუთრებაშია. ნაგავსაყრელის დიზაინის მიხედვით, ნარჩენების განთავსების მთლიანი პოტენციალი (სამიზნე მაჩვენებელი) შეადგენს 1,465,000 მ<sup>3</sup>-ს, შესაბამისი საექსპლუატაციო პერიოდია 20 წელი. ნავარაუდევია, რომ რეგიონში ინტენსიური რეციკლირების და ნარჩენების აღდგენის ღონისძიებების განხორციელების შედეგად, ნაგავსაყრელის სასიცოცხლო ციკლი გადააჭარბებს 20 წელს. გამონაჟონის შემცირების მიზნით, ნარჩენების განთავსების ობიექტი დაყოფილი იქნება ოთხ უჯრედად. შევსებული ნარჩენების მაქსიმალური სიმაღლე დაახლოებით 25 მ იქნება. ნარჩენების განთავსების ზონის მაქსიმალური სიგრძე იქნება 300 მ, მაქსიმალური სიგანე დაახლოებით 390 მ. ტერიტორიის ნაწილი 2009 წლიდან გამოიყენება როგორც ზუგდიდის ნაგავსაყრელი.

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ მოცემულია ცხრილ 1-ში.

ცხრილი 1

ობიექტის დასახელება	
ობიექტის მისამართი:	
ფაქტიური	
იურიდიული	ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ანა პოლიტეკნიკის ქ., N14
საიდენტიფიკაციო კოდი	404942470
GPS კოორდინატები	X = 727733; Y = 4698639
ობიექტის ხელმძღვანელი:	
გვარი, სახელი	
ტელეფონი	
ელ-ფოსტა	
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	სოფ. დიდი ნემის დასახლება -მანძილი 1000 მ.
ეკონომიკური საქმიანობის სახე	საყოფაცხოვრებო ნარჩენების განთავსება
გამომშვებული პროდუქციის სახეობა	-
საპროექტო წარმადობა	75000 ტ/წელ
მოხმარებული ნედლეულის რაოდენობა	-
მოხმარებული საწვავის სახეობა და რაოდენობა	120 ტ
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	365
სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში	8760

## 2. საწარმოს განთავსების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება

საწარმოს განთავსების რაიონის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მოკლე დახასიათება მიღებულია [6] -ს შესაბამისად და წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილების სახით.

№	პუნქტის დასახელება	გეოგრაფიული განედი (გრადუსი და მინუტი)	გეოგრაფიული გრძედი (გრადუსი და მინუტი)	სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)	ბარომეტრული წნევა (კპა)
1	ზუგდიდი	42031'	41053'	110	920

სამშენებლო კლიმატური დარაიონების მიხედვით ზუგდიდი განეკუთვნება IIIბ ქვერაიონს,

ცხრილი 2.2, ჰაერის ტემპერატურა (თვის და წლის საშუალო)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
4,9	5,5	8,2	12,3	17,0	20,3	22,6	22,7	19,2	15,1	10,5	6,7	13,8

ცხრილი 2.3 ჰაერის ფარდობითი ტენიანობა (%)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	წლ
74	73	73	72	76	78	82	82	83	79	74	72	76

ცხრილი 2.4 ნალექების რ-ბა წელიწადში (მმ) ნალექები დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ)

პუნქტის დასახელება	ნალექების რ-ბა წელიწადში (მმ)	ნალექები დღე-ღამური მაქსიმუმი (მმ)
ზუგდიდი	1723	238

თოვლიან დღეთა რიცხვი წელიწადში : 15

ცხრილი 2.5 ქარის მიმართულების განმეორადობა (%) იანვარი, ივლისი

ჩრდ,	ჩრდ,აღმ,	აღმ,	სამხ,აღმ,	სამხ,	სამხ,დას,	დას,	ჩრდ,დას,
7/4	10/3	56/16	7/5	2/7	3/14	11/47	4/4

ცხრილი 2.6 ქარის საშუალო უდიდესი და უმცირესი სიჩქარე (მ/წმ)

იანვარი	ივლისი
5,1/0,4	2,0/0,3



მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები, რომლებიც განსაზღვრავენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის პირობებს

№	მეტეოროლოგიური მახასიათებლების და კოეფიციენტების დასახელება	მნიშვნელობები
1	2	3
1,	ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
2,	ადგილის რელიეფის გავლენის ამსახველი კოეფიციენტი	1
3,	წლის ყველაზე ცხელი თვის ჰაერის საშუალო მაქსიმალური ტემპერატურა, 0C	27,0
4,	წლის ყველაზე ცივი თვის ჰაერის საშუალო ტემპერატურა, 0C	4,9
5,	ქართა საშუალო წლიური თაიგული, %	შტილი - 53
	_ ჩრდილოეთი	6
	_ ჩრდილო-აღმოსავლეთი	7
	_ აღმოსავლეთი	36
	_ სამხრეთ-აღმოსავლეთი	7
	_ სამხრეთი	5
	_ სამხრეთ-დასავლეთი	8
	_ დასავლეთი	27
6,	_ ჩრდილო-დასავლეთი	4
	ქარის სიჩქარე(მრავალწლიური მონაცემების მიხედვით), რომლის გადამეტების განმეორადობა შეადგენს 5%-ს,	6,5

### 3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა და დაბინძურების წყაროთა დახასიათება

საპროექტო პოლიგონის კონცეპტუალური პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია ნარჩენების წინასწარი დახარისხება, პოლიგონის უჯრედებში განთავსება, ყოველი 2-3 მეტრის ფენების მიწით დაფარვა და საპროექტო სიმაღლის მიღწევის შედეგად უჯრედის გადახურვა ჰიდროსაიზოლაციო ფენით და რეკულტივაცია.

საწყის პერიოდში (1-2 წელი) ნარჩენების დაშლის პროცესი ატარებს მათი დაჟანგვის ხასიათს, რომელიც ხორციელდება ნარჩენების ზედა ფენებში არსებულ სიღრუეებში და სიცარიელეებში ატმოსფერული ჰაერის ჟანგბადის ხარჯზე, შემდგომ ბუნებრივი და მექანიკური დატკეპნის შემდეგ და ფენების იზოლაციის შედეგად, ძლიერდება ანაერობული პროცესები მეთანის გამოყოფით, რომელიც წარმოადგენს ნარჩენების ორგანული შემადგენლების ბიოთერმული ანაერობული დაშლის საბოლოო პროდუქტს მიკროფლორის გავლენით. ნაგავსაყრელის გაზი ნარჩენების სიღრმიდან და იზოლირებულ ფენებს შორის სივრციდან გამოიყოფა ატმოსფეროში და იწვევს მის დაბინძურებას.



თუ დასაწყობების პირობები არ იცვლება, ანაერობული დაშლის პროცესი სტაბილურდება გაზის მუდმივი კუთრი გამოყოფით პრაქტიკულად ერთგვაროვანი აირადი შემადგენლობით (ნარჩენების სტაბილური მორფოლოგიური შემადგენლობის შემთხვევაში).

განასხვავებენ პოლიგონზე ორგანული ნარჩენების დაშლის პროცესის 5 ფაზას:

1 ფაზა- აერობული დაშლა;

2 ფაზა- ანაერობული დაშლა მეთანის გამოყოფის გარეშე (ე.წ. "მჟავე დუდილი");

3 ფაზა- ანაერობული დაშლა მეთანის არა მუდმივი გამოყოფით (ე.წ. "შერეული დუდილი");

4 ფაზა- ანაერობული დაშლა მეთანის მუდმივი გამოყოფით;

5 ფაზა- ანაერობული პროცესების ჩაქრობა

1 და 2 ფაზა გრძელდება 20 - 40 დღე, მე-3 ფაზა - 700 დღემდე (მიახლოებით 2 წელი), მე-4 ფაზა კი 10 დან 50 წლამდე. ნარჩენების ტენიანობა შეადგენს 40 - 55%, ორგანული შემადგენლობა < 70%.

ანაერობული დაშლის პერიოდში (აირის მუდმივი გამოყოფით - მე-4 ფაზა) წარმოიქმნება აირის  $\approx 80\%$ . დანარჩენი 20% მოდის პირველ 3 და უკანასკნელ ფაზებზე, რომელთა პერიოდშიც აირის წარმოქმნაში მონაწილეობს მხოლოდ პოლიგონზე არსებული ნარჩენების ნაწილი (ნარჩენების ზედა ფენებში და ორგანული შემადგენლების მიკროორგანიზმებით ნელი დაშლის პირობებში), ამიტომ აირის ემისიის გაანგარიშება მიზანშეწონილია ჩატარდეს ნარჩენების სტაბილური დაშლის პირობებისათვის აირის მაქსიმალური გამოყოფისას (მე-4 ფაზა), იმ პირობით, რომ აირგამოყოფის სტაბილიზაცია იწყება საშუალოდ ნარჩენების განთავსებიდან 2 წლის შემდეგ.

გაზის წარმოქმნა პოლიგონის ზედაპირიდან ატმოსფერულ ჰაერში მიმდინარეობს თანაბარზომიერად, მისი რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების შესამჩნევი ცვლილებების გარეშე.

პოლიგონზე სიღრმეში დამარხული საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენებში მიკროფლორის ზემოქმედების შედეგად მიმდინარეობს ნარჩენების ორგანული შემადგენლის ანაერობული დაშლა. ამ დაშლის საბოლოო პროდუქტია ბიოგაზი, რომლის ძირითად მოცულობით მასას წარმოადგენს მეთანი და ნახშირბადის დიოქსიდი.


ბიოგაზის რაოდენობრივი და თვისობრივი შემადგენლობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის პოლიგონის განთავსების ადგილის კლიმატურ და გეოლოგიურ პირობებზე, შემავალი ნარჩენების შემადგენლობაზე, დასაწყობების პირობებზე და ა.შ.

საწყის მონაცემებად აირადი ფაზის ემისიის გასაანგარიშებლად მიიღება:

კლიმატური პირობები, შეტანილი ნარჩენების რ-ბა, ცხიმების, ნახშირწყლების და ცილოვანი შემადგენლების რ-ბა ნარჩენების ორგანულ ნაწილში და პოლიგონის ექსპლუატაციის ვადა. ექსპლუატაციის ვადაზეა დამოკიდებული ბიოგაზის წარმოქმნის პროდუქტიულობა და რაოდენობრივი მაჩვენებლები, რაც განხილულია ქვემოთ.

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ცნობით "ზუგდიდის არსებულ ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების საერთო რაოდენობის


დასადგენად გამოყენებულია არსებული მონაცემები და ექსპერტების მიერ  
გამოთვლილი საპროგნოზო რაოდენობები. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე  
გათვლებისათვის მიღებულია 2010-2023 წლების საშუალო არითმეტიკული,  
რომელიც შეადგენს 35555 ტ/წელ-ს, რის საფუძველზეც შესრულებულია  
გამოთვლები მოქმედი მეთოდიკის [15] შესაბამისად და არსებული უჯრედის  
მეთანის ემისიის საპროგნოზო მახასიათებლები წლების მიხედვით  
წარმოდგენილია სქემაზე 1.



სქემა 1. არსებული უჯრედის მეთანის ემისიის საპროგნოზო მახასიათებლები  
წლების მიხედვით


როგორც ზევით აღინიშნა, ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების  
განთავსების ობიექტის განლაგების სქემა ითვალისწინებს იმ მონაკვეთის  
დახურვას, რომელიც ამჟამად გამოიყენება ნარჩენების განთავსებისთვის.  
ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევით შემოთავაზებულია #1 უჯრედის მოწყობა  
ნარჩენების ახლანდელი განთავსების ნაწილის სამხრეთით. შესაბამისად, #2, #3 და  
#4 უჯრედების მოწყობაც სამხრეთ მიმართულებითაა დაგეგმილი.  
საპროექტო პოლიგონის საექსპლუატაციო ვადად განსაზღვრულია 20 წელი, ხოლო  
აირების გენერირების აქტიური პერიოდი კლიმატური პირობების  
გათვალისწინებით გაანგარიშების შესაბამისად შეადგენს 13 წელიწადს (ე.წ მე-3 და  
მე-4 ფაზა), რაც გულისხმობს, რომ დაწყებული ნარჩენების განთავსების მე-13  
წლიდან (2036 წ), შემდგომში ყოველწლიურად 75000 ტ ნარჩენის განთავსების  
პირობებში მიახლოებით 7 წლის განმავლობაში (2043 წ-მდე) აირების გენერირება  
იქნება მაქსიმალური (ამ დროიდან შეწყდება ნარჩენების განთავსება პოლიგონის  
დახურვასთან დაკავშირებით), რის შემდეგ დაიწყება ემისიის ნელი ტემპით  
შემცირება და იგი შეწყდება სავარაუდოდ 13 წლის შემდეგ ( $\approx$  2056 წ).

მიღებული მეთოდოლოგიის [15] შესაბამისად მეთანის ემისიის საპროგნოზო  
რაოდენობრივი შეფასებები (ტ/წელ) წლების (2023-2064 წწ) მიხედვით  
წარმოდგენილია სქემაზე 2.



სქემა 2. საპროექტო პოლიგონის (4 უჯრედი) მეთანის ემისიის საპროგნოზო  
მახასიათებლები წლების მიხედვით

არსებულ და საპროექტო ერთობლივ პოლიგონზე მეთანის საპროგნოზო ჯამური ემისიების გრაფიკული გამოსახულება წლების მიხედვით წარმოდგენილია სქემაზე 3.



სქემა 3. არსებული უჯრედისა და საპროექტო პოლიგონის (4 უჯრედი) მეთანის ერთობლივი ემისიის საპროგნოზო მახასიათებლები წლების მიხედვით

გრაფიკიდან ჩანს, რომ 2034-2042 წწ. მოსალოდნელია მეთანის ემისიის პიკური მაჩვენებლები და იგი შესაძლოა შეფასდეს 8-8,5 ათ.ტ/წელ (11,2-11,9 მლნ.მ³/წელ) ოდენობით, რომლის 50%-ით უტილიზაცია და ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენება სრულად დააკმაყოფილებს არა მარტო საწარმოს ენერგო მოთხოვნილებებს, არამედ შესაძლოა ეს ენერგია გამოყენებულ იქნას კომერციული თვალსაზრისითაც.

ტექნიკური დავალების დოკუმენტის მიხედვით, #1 უჯრედის საექსპლუატაციო ხანგრძლივობა 5,5 წელი იქნება. პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებები 2019 წლის ბოლოს დაიწყო და წინასწარი გათვლებით, ახალი ნარჩენების განთავსების ობიექტის მშენებლობა უნდა დასრულდეს 36 თვეში, ხოლო ექსპლუატაციაში კი 2023 წლის დასაწყისისთვის უნდა შევიდეს. ამრიგად, უჯრედი #1-ის საექსპლუატაციო პერიოდი მოიცავს 2023 წლიდან 2028 წლამდე პერიოდს.

უჯრედი	ფართობი (მ²)	მოცულობა (მ³)	მოსალოდნელი სასიცოცხლო ციკლი
1	43,804	490,000	6.7 წელი (2023-2029)
2	17,108	360,000	5 წელი (2029-2034)
3	11,106	195,000	2.6 წელი (2034-2037)
4	49,651*	420,000	5.7 წელი (2037 – 2042)
<b>სულ</b>	<b>72,018</b>	<b>1,465,000</b>	<b>20 წელი (2023 – 2042)</b>

\* მე-4 უჯრედი განთავსდება ნაწილობრივ არსებული ნაგავსაყრელის ზემოდან, ხოლო ნაწილობრივ ახალი არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის ზემოდან. ამრიგად, მე-4 უჯრედი არ დაიკავებს დამატებით მიწის ტერიტორიას, რადგან ის არსებული უჯრედების ზემოდან განთავსდება.

საექსპლუატაციო პერიოდში, ნარჩენების განთავსების ობიექტზე აირების შეგროვება უნდა განხორციელდეს დინამიური აირშემკრები ჭების მეშვეობით. გაზის ჭაბურღილის სიმაღლე გაიზრდება ნარჩენების სიმაღლის პარალელურად და შესაბამისად მას დინამიურს უწოდებენ. აირების შემკრები ჭის საძირკვლის ფუძე და პირველი 2-3 მეტრი აიგება ობიექტის მშენებლობის საწყის ეტაპზე. ნარჩენების განთავსების ობიექტის ექსპლუატაციის დროს, ნარჩენების მატებასთან ერთად, ამჟღავნდება აირშემკრები ჭის სიმაღლეც დამატებითი მიღების მიერთებით და დამატებითი ხრეშის შეტანით. შეგროვებული აირი პირველი უჯრედის დახურვის შემდგომ გადამისამართდება ჩირაღდნის სისტემისკენ და დაიწვება. ამასთან, ნარჩენების განთავსების ობიექტის აირების წარმოქმნა შეიძლება მოხდეს ნარჩენების განთავსებიდან მხოლოდ გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ, მაგ. 1-2 წლის შემდგომ, ხოლო ამ პერიოდში აირების გენერირება შესაძლოა ძალიან დაბალ დონეზე იყოს. ობიექტის აირების წარმოებამ მხოლოდ მესამე წელს შეიძლება მიაღწიოს მოსალოდნელ დონეს. შედეგად, პირველი რამდენიმე წლის განმავლობაში ნარჩენების აირების მხოლოდ მცირე რაოდენობა შეიძლება გამოიყოს #1 უჯრედიდან, თუმცა შემდეგ მოცულობები გაიზრდება.

### 3.1 ემისია არსებული უჯრედიდან (გ-3)

საპროექტო ლოკაციაზე 10 წელზე მეტია ფუნქციონირებს ე.წ. „ზუგდიდის ნაგავსაყრელი“, რომლის მართვას ამჟამად ახორციელებს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია. 2014-2017 წლებში აღრიცხვიანობის პრობლემების გამო საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ცნობით „ზუგდიდის არსებულ ნაგავსაყრელზე განთავსებული ნარჩენების საერთო რაოდენობის დასადგენად გამოყენებულია არსებული მონაცემები და ექსპერტების მიერ გამოთვლილი საპროგნოზო რაოდენობები. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე გათვლებისათვის მიღებულია 2010-2023 წლების საშუალო არითმეტიკული, რომელიც შეადგენს 35555ტ/წელ-ს“, რის საფუძველზეც შესრულებულია გამოთვლები მოქმედი მეთოდიკის [15] შესაბამისად. აღნიშნული წყარო განიხილება როგორც სტაციონარული და არაორგანიზებული.

ქვემოთ წარმოდგენილია პროგრამული გაანგარიშების საწყისი მონაცემები და შედეგები.

კლიმატური პირობები:

$t_{\text{ср. тем.}} = 13,8^{\circ}\text{C}$  - ატმოსფერული ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურების საშუალო (მხედველობაში მიიღება ის თვეები, რომელთა საშუალო თვიური ტემპერატურები მეტია  $0^{\circ}\text{C}$  -ზე).

$T'_{\text{тем.}} = 275$  - დღეების რაოდენობა, როდესაც საშუალო თვიური ტემპერატურა  $> 8^{\circ}\text{C}$  (თბილი პერიოდი).

$T'_{\text{перех.}} = 90$  - დღეების რაოდენობა, როდესაც საშუალო თვიური ტემპერატურა  $> 0^{\circ}\text{C}$  და არ აღემატება  $8^{\circ}\text{C}$  (გარდამავალი პერიოდი).

$T_{\text{тем.}} = 365$  - დღეების რაოდენობა, როდესაც საშუალო თვიური ტემპერატურა  $> 0^{\circ}\text{C}$  (გარდამავალი და თბილი პერიოდი).

$a = 9$  - თვეების რაოდენობა საშუალო თვიური ტემპერატურით  $> 8^{\circ}\text{C}$  (თბილი პერიოდი).

$b = 3$  - თვეების რაოდენობა საშუალო თვიური ტემპერატურით  $> 0^{\circ}\text{C}$  და არა უმეტეს  $8^{\circ}\text{C}$  (გარდამავალი პერიოდი).

### საანგარიშო ფორმულები, საწყისი ინფორმაცია

1. ნარჩენების სავარაუდო შედგენილობა:

$R = 52,0\%$  - ნარჩენებში ორგანული შემადგენლების რ-ბა;

$Ж = 2,0\%$  - ნარჩენების ორგანულ ნაწილში ცხიმშემცველი შემადგენლების რ-ბა;

$Y = 83,0\%$  - ნარჩენების ორგანულ ნაწილში ნახშირწყლების შემადგენლების რ-ბა;

$B = 15,0\%$  - ნარჩენების ორგანულ ნაწილში ცილოვანი შემადგენლების რ-ბა;

$W = 47,0\%$  - ნარჩენების საშუალო ტენიანობა.

ბიოგაზში კომპონენტების კონცენტრაცია მოცემულია ცხრილში 1.

ნივთიერების კოდი	ნივთიერების დასახელება	Ci , მგ/მ3
----	აზოტის ოქსიდები	1392
0303	ამიაკი	6659
0330	გოგირდის დიოქსიდი	878
0333	გოგირდწყალბადი	326
0337	ნახშირბადის მონოქსიდი	3148
0380	ნახშირბადის დიოქსიდი	558958
0410	მეთანი	660908
0616	ქსილოლი	5530
0621	ტოლუოლი	9029
0627	ეთილბენზოლი	1191
1325	ფორმალდეჰიდი	1204
	$\Sigma$	1249223

2. პოლიგონი ფუნქციონირებადია; სავარაუდო ფუნქციონირების დრო 14-15 წელი.



3.  $M = 35555$  ტ/წელ - წლიურად შემოტანილი ნარჩენების რ-ბა.

ბიოგაზის კუთრი გამოსავალი აქტიური გამოყოფის პერიოდში განისაზღვრება ფორმულით (2):

$$Q_w = 10^{-6} \cdot R \cdot (100 - W) \cdot (0.92 \cdot X + 0.62 \cdot Y + 0.34 \cdot B) = 10^{-6} \cdot 52.0 \cdot (100 - 47.0) \cdot (0.92 \cdot 2.0 + 0.62 \cdot 83.0 + 0.34 \cdot 15.0) = 0.160950 \text{ კგ/კგ ნარჩენზე,}$$

ბიოგაზის აქტიური გამოყოფის პერიოდი განისაზღვრება ფორმულით (4) და შეადგენს:

$$t_{\text{ცპ}} = 10248 / (T_{\text{თელ}} \cdot X_{\text{ცპ}} \cdot t_{\text{ელ}}^{0.301966}) = 10248 / (365 \times 13,8^{0.301966}) = 13 \text{ წელ.}$$

ე.ი. ნარჩენების განთავსების მე-13 წლისთვის ემისიის მაჩვენებლები იქნება მაქსიმალური.

ბიოგაზის რაოდენობრივი გამოსავალი წელიწადში ერთ ტონა ნარჩენზე გადათვლით განისაზღვრება ფორმულით (3):

$$P_{y.d.} = 10^3 \times Q_w / t_{\text{ცპ}} = 10^3 \times 0.160950 / 13 = 12.3808 \text{ კგ/ტ ნარჩენზე წელიწადში.}$$

პოლიგონის ფუნქციონირების ვადა (20 წელი) აღემატება ორგანული ნაწილის სრული „დუდილი“-ს (13 წელი) პერიოდს, შესაბამისად:

$$D = (t_{\text{ცპ}} - 2) \times M = (13 - 2) \times 35555 = 391105 \text{ ტ - ნარჩენებიდან შერეული დუდილის ფაზის პერიოდში აქტიურად და სტაბილურად გამოყოფილი ბიოგაზის რაოდენობა.}$$

ბიოგაზის სიმკვრივე განისაზღვრება ფორმულით:

$$\rho_{\text{ბ.გ.}} = 10^{-6} \cdot \sum C_i = 1,249223 \text{ კგ/მ}^3.$$

ბიოგაზში კომპონენტების პროცენტული შემადგენლობა (მას.ი, %) მოცემულია ცხრილ 2-ში.

ცხრილი 2.

ნივთიერების კოდი	ნივთიერების დასახელება	(მას. %)
----	აზოტის ოქსიდები	0,111
0303	ამიაკი	0,533
0330	გოგირდის დიოქსიდი	0,070
0333	გოგირდწყალბადი	0,026
0337	ნახშირბადის მონოქსიდი	0,252
0380	ნახშირბადის დიოქსიდი	44,736
0410	მეთანი	52,915
0616	ქსილოლი	0,443
0621	ტოლუოლი	0,723
0627	ეთილბენზოლი	0,095
1325	ფორმალდეჰიდი	0,096

მათ შორის კომპონენტების მიხედვით ფორმულით  $[P_{y.d.i} = C_i \cdot P_{y.d.} / 100 = C_i \cdot 12,38 / 100]$

მოცემულია ცხრილ 3-ში.

ცხრილი 3.

ნივთიერების კოდი	ნივთიერების დასახელება	(მას. %)	კგ/ტ
----	აზოტის ოქსიდები	0,111	0,014



0303	ამიაკი	0,533	0,066
0330	გოგირდის დიოქსიდი	0,070	0,009
0333	გოგირდწყალბადი	0,026	0,003
0337	ნახშირბადის მონოქსიდი	0,252	0,031
0380	ნახშირბადის დიოქსიდი	44,736	5,539
0410	მეთანი	52,915	6,551
0616	ქსილოლი	0,443	0,055
0621	ტოლუოლი	0,723	0,090
0627	ეთილბენზოლი	0,095	0,012
1325	ფორმალდეჰიდი	0,096	0,012
	Σ	100,0	12,38

ბიოგაზის ცალკეული კომპონენტის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია განისაზღვრება ფორმულით (10):

$M_i = 10^{-2} \times M_{\text{сум}} \times C_{\text{вс.и}} \text{ გ/წმ, სადაც}$

$$M_{\text{сум}} = P_{\text{уд.}} \times D \times 10^3 / (T'_{\text{тепл}} \times 24 \times 3600) = P_{\text{уд.}} \times D / ((86,4 \times T'_{\text{тепл.}}) = 12,3808 \times 391105 / (86,4 \times 275) = 203,79 \text{ გ/წმ;}$$

ბიოგაზის ყველა კომპონენტის ჯამური მაქსიმალური ერთჯერადი ემისია;

$$M_{301} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,111 \times 0,8 = 10^{-2} \times 203,79 \times 0,111 \times 0,8 = 0,181 \text{ გ/წმ;}$$

$$M_{303} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,533 = 10^{-2} \times 203,79 \times 0,533 = 1,086 \text{ გ/წმ;}$$

$$M_{304} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,111 \times 0,13 = 10^{-2} \times 203,79 \times 0,111 \times 0,13 = 0,029 \text{ გ/წმ;}$$

$$M_{330} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,07 = 10^{-2} \times 203,79 \times 0,07 = 0,143 \text{ გ/წმ;}$$

$$M_{333} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,026 = 10^{-2} \times 203,79 \times 0,026 = 0,053 \text{ გ/წმ;}$$

$$M_{337} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,252 = 10^{-2} \times 203,79 \times 0,252 = 0,513 \text{ გ/წმ;}$$

$$M_{380} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 44,736 = 10^{-2} \times 203,79 \times 44,736 = 91,167 \text{ გ/წმ;}$$

$$M_{410} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 52,915 = 10^{-2} \times 203,79 \times 52,915 = 107,835 \text{ გ/წმ;}$$

$$M_{616} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,443 = 10^{-2} \times 203,79 \times 0,443 = 0,902 \text{ გ/წმ;}$$

$$M_{621} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,723 = 10^{-2} \times 203,79 \times 0,723 = 1,473 \text{ გ/წმ;}$$

$$M_{627} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,095 = 10^{-2} \times 203,79 \times 0,095 = 0,194 \text{ გ/წმ;}$$

$$M_{1325} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,096 = 10^{-2} \times 203,79 \times 0,096 = 0,196 \text{ გ/წმ;}$$

ბიოგაზის ცალკეული კომპონენტის წლიური ემისია განისაზღვრება [15]-ის (11)

ფორმულით :  $G_i = 10^{-2} \times G_{\text{сум.}} \times C_{\text{вс.и}} \text{ ტ/წელ; სადაც}$

$$G_{\text{сум.}} = M_{\text{сум.}} \times 10^{-6} \times (a \times 365 \times 24 \times 3600 / 12 + b \times 365 \times 24 \times 3600 / (12 \times 1,3)) = \\ = 429,9 \cdot 10^{-6} \cdot (9 \cdot 365 \cdot 24 \cdot 3600 / 12 + 3 \cdot 365 \cdot 24 \cdot 3600 / (12 \cdot 1,3)) = 203,79 \cdot 10^{-6} \cdot (9 \cdot 365 \cdot 24 \cdot 3600 / 12 + \\ 3 \cdot 365 \cdot 24 \cdot 3600 / (12 \cdot 1,3)) = 6056,12 \text{ ტ/წელ (11a)}$$

ბიოგაზის ყველა კომპონენტის წლიური ემისია.

$$G_{301} = 10^{-2} \times 6056,12 \times 0,111 \times 0,8 = 5,378 \text{ ტ/წელ;}$$

$$G_{303} = 10^{-2} \times 6056,12 \times 0,533 = 32,28 \text{ ტ/წელ;}$$

$$G_{304} = 10^{-2} \times 6056,12 \times 0,111 \times 0,13 = 0,874 \text{ ტ/წელ;}$$

$$G_{330} = 10^{-2} \times 6056,12 \times 0,07 = 4,24 \text{ ტ/წელ;}$$

$$G_{333} = 10^{-2} \times 6056,12 \times 0,026 = 1,575 \text{ ტ/წელ;}$$

$$G_{337} = 10^{-2} \times 6056,12 \times 0,252 = 15,261 \text{ ტ/წელ;}$$

$$G_{380} = 10^{-2} \times 6056,12 \times 44,736 = 2709,266 \text{ ტ/წელ;}$$

$$G_{410} = 10^{-2} \times 6056,12 \times 52,915 = 3204,6 \text{ ტ/წელ;}$$

$$G_{616} = 10^{-2} \times 6056,12 \times 0,443 = 26,828 \text{ ტ/წელ;}$$

$$G_{621} = 10^{-2} \times 6056,12 \times 0,723 = 43,785 \text{ ტ/წელ;}$$

$$G_{627} = 10^{-2} \times 6056,12 \times 0,095 = 5,753 \text{ ტ/წელ;}$$

$$G_{1325} = 10^{-2} \times 6056,12 \times 0,096 = 5,814 \text{ ტ/წელ;}$$

\*შენიშვნა: ნახშირბადის დიოქსიდი არ მიეკუთვნება მავნე ნივთიერებას (არ გააჩნია ზღვ) და არ ექვემდებარება ნორმირებას.

გაანგარიშების საბოლოო შედეგები მოცემულია ცხრილ 4-ში.

ცხრილი 4.

ნივთიერების კოდი	ნივთიერების დასახელება	მაქსიმალური ემისია, გ/წმ	ჯამური ემისია, ტ/წელ
0301	აზოტის დიოქსიდი	0,181	5,378
0303	ამიაკი	1,086	32,28
0304	აზოტის ოქსიდი	0,029	0,874
0330	გოგირდის დიოქსიდი	0,143	4,240
0333	გოგირდწყალბადი	0,053	1,575
0337	ნახშირბადის მონოქსიდი	0,513	15,261
0380	ნახშირბადის დიოქსიდი	91,167	2709,266
0410	მეთანი	107,835	3204,6
0616	ქსილოლი	0,902	26,828
0621	ტოლუოლი	1,473	43,785
0627	ეთილბენზოლი	0,194	5,774
1325	ფორმალდეჰიდი	0,196	5,814
	ΣΣ	203,763	6055,675

აზოტის ოქსიდების ტრანსფორმაციის კოეფიციენტები:  $K_{no} = 0,13$ ;  $K_{no2} = 0,8$

შენიშვნა: ამრიგად, ემისიის ეს თეორიული მაჩვენებლები წარმოადგენს პირველი ეტაპის პოზიციას. (2023 წლამდე პერიოდი).

2024-2025 წწ ამოქმედდება ჩირაღდანი არსებული „ძველი“ უჯრედისათვის და შესაბამისად არსებული სრული არაორგანიზებული ემისიის ნახევარი (ბიოგაზის შეგროვების კოეფიციენტი მიღებულია 0,5-ის ტოლად) მიემართება წვის დანადგარს (ჩირაღდანს). აღნიშნული წყარო განიხილება როგორც სტაციონარული და ორგანიზებული. ჩირაღდანზე მიწოდებული აირების რაოდენობა (ცხრილი 4-ის 0,5 ნაწილი) მოცემულია ცხრილ 5-ში.

ცხრილი 5.

ნივთიერების კოდი	ნივთიერების დასახელება	მაქსიმალური ემისია, გ/წმ	ჯამური ემისია, ტ/წელ
0301	აზოტის დიოქსიდი	0,091	2,689
0303	ამიაკი	0,543	16,140
0304	აზოტის ოქსიდი	0,015	0,437
0330	გოგირდის დიოქსიდი	0,072	2,120
0333	გოგირდწყალბადი	0,027	0,788
0337	ნახშირბადის მონოქსიდი	0,257	7,631
0380	ნახშირბადის დიოქსიდი	45,584	1354,633

0410	მეთანი	53,918	1602,300
0616	ქსილოლი	0,451	13,414
0621	ტოლუოლი	0,737	21,893
0627	ეთილბენზოლი	0,097	2,887
1325	ფორმალდეჰიდი	0,098	2,907
	ΣΣ	101,882	3027,838

### 3.2 ემისია საჩირადნე მოწყობილობიდან (გ-9)



გამომდინარე ზემოთაღნიშნულიდან საჩირადნე მოწყობილობას მიეწოდება ცხრილი 5-ის მონაცემები.

ჩირადნაზე მიწოდებული მეთანის ოდენობაა:  $1602,3 \text{ ტ/წელ} / 0,000714 \text{ ტ/მ}^3 = 2244117,6 \text{ მ}^3/\text{წელ} = 2244,1 \text{ ათასი მ}^3/\text{წელ}$ ;

ორგანული შენაერთების ოდენობაა: (ქსილოლი-13,414ტ/წელ, ტოლუოლი-21,893ტ/წელ, ეთილბენზოლი-2,887ტ/წელ, ფორმალდეჰიდი-2,907ტ/წელ),- სულ 41,101 ტ/წელ;

ორგანული შენაერთების თერმოდესტრუქცია მიმდინარეობს ნახშირორჟანგისა და წყლის ორთქლის გამოყოფით.

- $\text{CH}_4 + 2\text{O}_2 = \text{CO}_2 + 2\text{H}_2\text{O}$  (მეთანის დაჟანგვის რეაქცია);  $K = 1 * 44/16 = 2,75$
- $2\text{C}_6\text{H}_4(\text{CH}_3)_2 + 21\text{O}_2 = 16\text{CO}_2 + 10 \text{H}_2\text{O}$  (ქსილოლის დაჟანგვის რეაქცია);  $K = 8 * 44/106 = 3,32$
- $\text{C}_6\text{H}_5\text{CH}_3 + 9\text{O}_2 = 7\text{CO}_2 + 4\text{H}_2\text{O}$ ; (ტოლუოლის დაჟანგვის რეაქცია);  $K = 7 * 44/92 = 3,347$
- $2\text{C}_8\text{H}_{10} + 21\text{O}_2 = 16\text{CO}_2 + 10\text{H}_2\text{O}$  (ეთილბენზოლის დაჟანგვის რეაქცია);  $K = 8 * 44/106 = 3,32$
- $\text{CH}_2\text{O} + \text{O}_2 = \text{CO}_2 + \text{H}_2\text{O}$ ; (ფორმალდეჰიდის დაჟანგვის რეაქცია);  $K = 1 * 44/30 = 1,47$

1 ტონა მეთანის დაჟანგვის რეაქციით მიიღება 2,75 ტონა ნახშირორჟანგი

$1602,3 \text{ ტ/წელ} * 2,75 \text{ ტ/ტ} = 4406,325 \text{ ტ/წელ}$ ;

1 ტონა ქსილოლის დაჟანგვის რეაქციით მიიღება 3,32 ტონა ნახშირორჟანგი

$$13,414 \text{ ტ/წელ} * 3,32 \text{ ტ/ტ} = 44,534 \text{ ტ/წელ};$$

1 ტონა ტოლუოლის დაჟანგვის რეაქციით მიიღება 3,35 ტონა ნახშირორჟანგი

$$21,893 \text{ ტ/წელ} * 3,347 \text{ ტ/ტ} = 73,341 \text{ ტ/წელ};$$

1 ტონა ეთილბენზოლის დაჟანგვის რეაქციით მიიღება 3,32 ტონა ნახშირორჟანგი

$$2,887 \text{ ტ/წელ} * 3,32 \text{ ტ/ტ} = 9,584 \text{ ტ/წელ};$$

1 ტონა ფორმალდეჰიდის დაჟანგვის რეაქციით მიიღება 1,47 ტონა ნახშირორჟანგი

$$2,907 \text{ ტ/წელ} * 1,47 \text{ ტ/ტ} = 4,273 \text{ ტ/წელ};$$


$$\text{CO}_2 \text{ სულ} \approx 4538,057 \text{ ტ/წელ}; \text{CO}_2 \text{ სულ: } (4538,057 \text{ ტ/წელ} * 10^6 / 365 * 24 * 3600) \approx 139,723$$

გ/წმ.

არაორგანული ნივთიერებიდან ამიაკის დაჟანგვის რეაქცია მიმდინარეობს აზოტისა და წყლის ორთქლის გამოყოფით.  $4\text{NH}_3 + 3\text{O}_2 = 2\text{N}_2 + 6\text{H}_2\text{O}$ , ამდენად მავნე

ნივთიერებები არ გამოიყოფა;

ნახშირბადის, აზოტისა და გოგირდის ოქსიდების ოდენობა უცვლელი დარჩება (შესაბამისად №5 ცხრილისა), ხოლო გოგირდწყალბადი გარდაიქმნება გოგირდის დიოქსიდად ფორმულით:



$$M_{\text{SO}_2} = M_{\text{H}_2\text{S}} (0,027) * 1,88 = 0,05 \text{ გ/წმ}; G_{\text{SO}_2} = G_{\text{H}_2\text{S}} (0,788) * 1,88 = 1,481 \text{ ტ/წელ}.$$

ჩირაღდანზე მიწოდებული მეთანის წვისას გამოიყოფა გაანგარიშებულია [7]-ეს დანართ 107-ით

$$\text{აზოტის დიოქსიდი ემისია: } 2244117,6 \text{ მ}^3/\text{წელ} * 10^{-3} * 0,0036 = 8,078 \text{ ტ/წელ};$$

$$8,078 * 10^6 / 8760 * 3600 = 0,256 \text{ გ/წმ}.$$

$$\text{ნახშირბადის ოქსიდის ემისია: } 2244117,6 \text{ მ}^3/\text{წელ} * 10^{-3} * 0,0089 = 19,972 \text{ ტ/წელ};$$

$$19,972 * 10^6 / 8760 * 3600 = 0,633 \text{ გ/წმ}.$$

ამრიგად საჩირაღდნე მოწყობილობიდან ჯამური ემისია წარმოდგენილია ცხრილ 6-ში.

ცხრილი 6.

კოდი	ნივთიერების დასახელება	ემისია გ/წმ	ემისია ტ/წელ
301	აზოტის დიოქსიდი	$(0,091+0,256) = 0,347$	$(2,689 + 8,078) = 10,767$
330	გოგირდის დიოქსიდი	$(0,072+0,05) = 0,122$	$(2,120 + 1,481) = 3,601$
0337	ნახშირბადის ოქსიდი	$(0,257+0,633) = 0,89$	$(7,631+19,972) = 27,603$
0000	ნახშირორჟანგი	$(45,584+139,723) = 185,307$	$(1354,633+4538,057) = 5892,69$

### 3.3 ემისია ახალი უჯრედებიდან (გ-2)

აღნიშნული წყარო განიხილება როგორც სტაციონარული და არაორგანიზებული. ქვემოთ წარმოდგენილია პროგრამული გაანგარიშების საწყისი მონაცემები და შედეგები.

კლიმატური პირობები:

$t_{\text{ср. темп.}} = 13,8^\circ\text{C}$  - ატმოსფერული ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურების

საშუალო (მხედველობაში მიიღება ის თვეები, რომელთა საშუალო თვიური ტემპერატურები მეტია  $0^{\circ}\text{C}$  -ზე).

$T_{\text{тепл.}} = 275$  - დღეების რაოდენობა, როდესაც საშუალო თვიური ტემპერატურა  $> 8^{\circ}\text{C}$  (თბილი პერიოდი).

$T_{\text{перех.}} = 90$  - დღეების რაოდენობა, როდესაც საშუალო თვიური ტემპერატურა  $> 0^{\circ}\text{C}$  და არ აღემატება  $8^{\circ}\text{C}$  (გარდამავალი პერიოდი).

$T_{\text{тепл.}} = 365$  - დღეების რაოდენობა, როდესაც საშუალო თვიური ტემპერატურა  $> 0^{\circ}\text{C}$  (გარდამავალი და თბილი პერიოდი).

$a = 9$  - თვეების რაოდენობა საშუალო თვიური ტემპერატურით  $> 8^{\circ}\text{C}$  (თბილი პერიოდი).

$b = 3$  - თვეების რაოდენობა საშუალო თვიური ტემპერატურით  $> 0^{\circ}\text{C}$  და არა უმეტეს  $8^{\circ}\text{C}$  (გარდამავალი პერიოდი).

### საანგარიშო ფორმულები, საწყისი ინფორმაცია

პოლიგონი: საპროექტო.

1. ნარჩენების სავარაუდო შედგენილობა:

$R = 52,0\%$  - ნარჩენებში ორგანული შემადგენლების რ-ბა;

$X = 2,0\%$  - ნარჩენების ორგანულ ნაწილში ცხიმშემცველი შემადგენლების რ-ბა;

$Y = 83,0\%$  - ნარჩენების ორგანულ ნაწილში ნახშირწყლების შემადგენლების რ-ბა;

$B = 15,0\%$  - ნარჩენების ორგანულ ნაწილში ცილოვანი შემადგენლების რ-ბა;

$W = 47,0\%$  - ნარჩენების საშუალო ტენიანობა.

ბიოგაზში კომპონენტების კონცენტრაცია მოცემულია ცხრილში 7  
ცხრილი 7

ნივთიერების კოდი	ნივთიერების დასახელება	$C_i$ , მგ/მ3
----	აზოტის ოქსიდები	1392
0303	ამიაკი	6659
0330	გოგირდის დიოქსიდი	878
0333	გოგირდწყალბადი	326
0337	ნახშირბადის მონოქსიდი	3148
0380	ნახშირბადის დიოქსიდი	558958
0410	მეთანი	660908
0616	ქსილოლი	5530
0621	ტოლუოლი	9029
0627	ეთილბენზოლი	1191
1325	ფორმალდეჰიდი	1204
	$\Sigma$	1249223

2. პოლიგონი საპროექტო; სავარაუდო ფუნქციონირების დრო 20 წელი.

3.  $M = 75000$  ტ/წელ - წლიურად შემოტანილი ნარჩენების რ-ბა.

ბიოგაზის კუთრი გამოსავალი აქტიური გამოყოფის პერიოდში განისაზღვრება



ფორმულით (2):

$$Q_w = 10^{-6} \cdot R \cdot (100 - W) \cdot (0.92 \cdot X + 0.62 \cdot Y + 0.34 \cdot B) = 10^{-6} \cdot 52.0 \cdot (100 - 47.0) \cdot (0.92 \cdot 2.0 + 0.62 \cdot 83.0 + 0.34 \cdot 15.0) = 0.160950 \text{ კგ/კგ ნარჩენზე,}$$

ბიოგაზის აქტიური გამოყოფის პერიოდი განისაზღვრება ფორმულით (4) და შეადგენს:

$$t_{\text{აქტიური}} = 10248 / (T_{\text{თქმ.}} \times t_{\text{აქტიური}}^{0.301966}) = 10248 / (365 \times 13.8^{0.301966}) = 13 \text{ წელი.}$$

ე.ი. ნარჩენების განთავსების მე-13 წლისთვის ემისიის მაჩვენებლები იქნება მაქსიმალური.

ბიოგაზის რაოდენობრივი გამოსავალი წელიწადში ერთ ტონა ნარჩენზე გადათვლით განისაზღვრება ფორმულით (3):

$$P_{\text{უდ.}} = 10^3 \times Q_w / t_{\text{აქტიური}} = 10^3 \times 0.160950 / 13 = 12.3808 \text{ კგ/ტ ნარჩენზე წელიწადში.}$$

პოლიგონის ფუნქციონირების ვადა (20 წელი) აღემატება ორგანული ნაწილის სრული „დუღილი“-ს (13 წელი) პერიოდს, შესაბამისად:

$$D = (t_{\text{აქტიური}} - 2) \times M = (13 - 2) \times 75000 = 825000 \text{ ტ - ნარჩენებიდან შერეული დუღილის ფაზის პერიოდში აქტიურად და სტაბილურად გამოყოფილი ბიოგაზის რაოდენობა.}$$

ბიოგაზის სიმკვრივე განისაზღვრება ფორმულით:

$$\rho_{\text{ბ.გ.}} = 10^{-6} \cdot \sum C_i = 1,249223 \text{ კგ/მ}^3.$$

ბიოგაზში კომპონენტების პროცენტული შემადგენლობა (მას.ი, %) მოცემულია ცხრილ 8-ში.

ცხრილი 8.

ნივთიერების კოდი	ნივთიერების დასახელება	(მას. %)
----	აზოტის ოქსიდები	0,111
0303	ამიაკი	0,533
0330	გოგირდის დიოქსიდი	0,070
0333	გოგირდწყალბადი	0,026
0337	ნახშირბადის მონოქსიდი	0,252
0380	ნახშირბადის დიოქსიდი	44,736
0410	მეთანი	52,915
0616	ქსილოლი	0,443
0621	ტოლუოლი	0,723
0627	ეთილბენზოლი	0,095
1325	ფორმალდეჰიდი	0,096

მათ შორის კომპონენტების მიხედვით მოცემულია ცხრილ 9-ში.

ცხრილი 9.

ნივთიერების კოდი	ნივთიერების დასახელება	(მას. %)	კგ/ტ
----	აზოტის ოქსიდები	0,111	0,014
0303	ამიაკი	0,533	0,066
0330	გოგირდის დიოქსიდი	0,070	0,009
0333	გოგირდწყალბადი	0,026	0,003
0337	ნახშირბადის მონოქსიდი	0,252	0,031
0380	ნახშირბადის დიოქსიდი	44,736	5,539

0410	მეტანი	52,915	6,551
0616	ქსილოლი	0,443	0,055
0621	ტოლუოლი	0,723	0,090
0627	ეთილბენზოლი	0,095	0,012
1325	ფორმალდეჰიდი	0,096	0,012
	Σ	100,0	12,38

ბიოგაზის ცალკეული კომპონენტის მაქსიმალური ერთჯერადი ემისია განისაზღვრება ფორმულით (10):

$M_i = 10^{-2} \times M_{\text{сум.}} \times C_{\text{вес.}i}$  გ/წმ, სადაც

$$M_{\text{сум.}} = P_{\text{уд.}} \times D \times 10^3 / (T'_{\text{тепл}} \times 24 \times 3600) = P_{\text{уд.}} \times D / (86,4 \times T'_{\text{тепл.}}) =$$

$$= 12,3808 \times 825000 / (86,4 \times 275) = 429,9 \text{ გ/წმ};$$

ბიოგაზის ყველა კომპონენტის ჯამური მაქსიმალური ერთჯერადი ემისია;

$$M_{301} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,111 \times 0,8 = 10^{-2} \times 429,9 \times 0,111 \times 0,8 = 0,383 \text{ გ/წმ};$$

$$M_{303} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,533 = 10^{-2} \times 429,9 \times 0,533 = 2,292 \text{ გ/წმ};$$

$$M_{304} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,111 \times 0,13 = 10^{-2} \times 429,9 \times 0,111 \times 0,13 = 0,062 \text{ გ/წმ};$$

$$M_{330} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,07 = 10^{-2} \times 429,9 \times 0,07 = 0,302 \text{ გ/წმ};$$

$$M_{333} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,026 = 10^{-2} \times 429,9 \times 0,026 = 0,112 \text{ გ/წმ};$$

$$M_{337} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,252 = 10^{-2} \times 429,9 \times 0,252 = 1,083 \text{ გ/წმ};$$

$$M_{380} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 44,736 = 10^{-2} \times 429,9 \times 44,736 = 192,351 \text{ გ/წმ};$$

$$M_{410} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 52,915 = 10^{-2} \times 429,9 \times 52,915 = 227,435 \text{ გ/წმ};$$

$$M_{616} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,443 = 10^{-2} \times 429,9 \times 0,443 = 1,903 \text{ გ/წმ};$$

$$M_{621} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,723 = 10^{-2} \times 429,9 \times 0,723 = 3,107 \text{ გ/წმ};$$

$$M_{627} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,095 = 10^{-2} \times 429,9 \times 0,095 = 0,410 \text{ გ/წმ};$$

$$M_{1325} = 10^{-2} \times M_{\Sigma} \times 0,096 = 10^{-2} \times 429,9 \times 0,096 = 0,414 \text{ გ/წმ};$$

ბიოგაზის ცალკეული კომპონენტის წლიური ემისია განისაზღვრება [14]-ის (11) ფორმულით :

$G_i = 10^{-2} \times G_{\text{сум.}} \times C_{\text{вес.}i}$  ტ/წელ; სადაც

$$G_{\text{сум.}} = M_{\text{сум.}} \times 10^{-6} \times (a \times 365 \times 24 \times 3600 / 12 + b \times 365 \times 24 \times 3600 / (12 \times 1,3)) =$$

$$= 429,9 \cdot 10^{-6} \cdot (9 \cdot 365 \cdot 24 \cdot 3600 / 12 + 3 \cdot 365 \cdot 24 \cdot 3600 / (12 \cdot 1,3)) = 12773,85 \text{ ტ/წელ (11a)}$$

ბიოგაზის ყველა კომპონენტის წლიური ემისია.

$$G_{301} = 10^{-2} \times 12773,85 \times 0,111 \times 0,8 = 11,388 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{303} = 10^{-2} \times 12773,85 \times 0,533 = 68,096 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{304} = 10^{-2} \times 12773,85 \times 0,111 \times 0,13 = 1,851 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{330} = 10^{-2} \times 12773,85 \times 0,07 = 8,979 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{333} = 10^{-2} \times 12773,85 \times 0,026 = 3,334 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{337} = 10^{-2} \times 12773,85 \times 0,252 = 32,192 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{380} = 10^{-2} \times 12773,85 \times 44,736 = 5716,034 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{410} = 10^{-2} \times 12773,85 \times 52,915 = 6758,598 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{616} = 10^{-2} \times 12773,85 \times 0,443 = 56,551 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{621} = 10^{-2} \times 12773,85 \times 0,723 = 92,333 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{627} = 10^{-2} \times 12773,85 \times 0,095 = 12,179 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{1325} = 10^{-2} \times 12773,85 \times 0,096 = 12,312 \text{ ტ/წელ};$$



\*შენიშვნა: ნახშირბადის დიოქსიდი არ მიეკუთვნება მავნე ნივთიერებას (არ გააჩნია ზღვრული) და არ ექვემდებარება ნორმირებას.

გაანგარიშების შედეგები მოცემულია ცხრილ 10-ში.

ცხრილი 10

ნივთიერების კოდი	ნივთიერების დასახელება	მაქსიმალური ემისია, გ/წმ	ჯამური ემისია, ტ/წელ
0301	აზოტის დიოქსიდი	0,383	11,388
0303	ამიაკი	2,292	68,096
0304	აზოტის ოქსიდი	0,062	1,851
0330	გოგირდის დიოქსიდი	0,302	8,979
0333	გოგირდწყალბადი	0,112	3,334
0337	ნახშირბადის მონოქსიდი	1,083	32,192
0380	ნახშირბადის დიოქსიდი	192,351	5716,034
0410	მეთანი	227,435	6758,598
0616	ქსილოლი	1,903	56,551
0621	ტოლუოლი	3,107	92,333
0627	ეთილბენზოლი	0,410	12,179
1325	ფორმალდეჰიდი	0,414	12,312
	ΣΣ	429,9	12773,85

აზოტის ოქსიდების ტრანსფორმაციის კოეფიციენტები:  $K_{no} = 0,13$ ;  $K_{no2} = 0,8$

როგორც ზევით აღინიშნა ბიოგაზის შეგროვების კოეფიციენტი მიღებულია 0,5-ის ტოლად. შესაბამისად სრული არაორგანიზებული ემისიის (ცხრილი 10) ნახევარი მიემართება წვის დანადგარს (ცხრილი 11), ხოლო მეორე ნახევარი გაიფრქვევა ისევ არაორგანიზებული სახით.

აღნიშნული წყარო განიხილება როგორც სტაციონარული და არაორგანიზებული. არაორგანიზებული სახით გაფრქვეული ნივთიერებები მოცემულია ცხრილში 11.

ცხრილი 11.

ნივთიერების კოდი	ნივთიერების დასახელება	მაქსიმალური ემისია, გ/წმ	ჯამური ემისია, ტ/წელ
0301	აზოტის დიოქსიდი	0,192	5,694
0303	ამიაკი	1,146	34,048
0304	აზოტის ოქსიდი	0,031	0,925
0330	გოგირდის დიოქსიდი	0,151	4,489
0333	გოგირდწყალბადი	0,056	1,667
0337	ნახშირბადის მონოქსიდი	0,542	16,096
0380	ნახშირბადის დიოქსიდი	96,176	2858,017
0410	მეთანი	113,717	3379,299
0616	ქსილოლი	0,952	28,276
0621	ტოლუოლი	1,554	46,166

0627	ეთილბენზოლი	0,205	6,090
1325	ფორმალდეჰიდი	0,207	6,156
	ΣΣ	214,9	6386,9

ჩირაღდანზე მიწოდებული მეთანის ოდენობა იდენტურია ცხრილ 11-ში მოცემული რაოდენობისა: 3379,299 ტ/წელ /0,000714ტ/მ³ = 4732911,764 მ³/წელ.

ორგანული შენაერთების ოდენობაა: (ქსილოლი-28,276ტ/წელ, ტოლუოლი-46,166ტ/წელ, ეთილბენზოლი-6,090ტ/წელ, ფორმალდეჰიდი-6,156ტ/წელ),- სულ 86,688 ტ/წელ;

ორგანული შენაერთების თერმოდესტრუქცია მიმდინარეობს ნახშირორჟანგისა და წყლის ორთქლის გამოყოფით.

- $\text{CH}_4 + 2\text{O}_2 = \text{CO}_2 + 2\text{H}_2\text{O}$  (მეთანის დაჟანგვის რეაქცია);  $K = 1 * 44/16 = 2,75$
- $2\text{C}_6\text{H}_4(\text{CH}_3)_2 + 21\text{O}_2 = 16\text{CO}_2 + 10\text{H}_2\text{O}$  (ქსილოლის დაჟანგვის რეაქცია);  $K = 8 * 44/106 = 3,32$
- $\text{C}_6\text{H}_5\text{CH}_3 + 9\text{O}_2 = 7\text{CO}_2 + 4\text{H}_2\text{O}$ ; (ტოლუოლის დაჟანგვის რეაქცია);  $K = 7 * 44/92 = 3,347$
- $2\text{C}_8\text{H}_{10} + 21\text{O}_2 = 16\text{CO}_2 + 10\text{H}_2\text{O}$  (ეთილბენზოლის დაჟანგვის რეაქცია);  $K = 8 * 44/106 = 3,32$
- $\text{CH}_2\text{O} + \text{O}_2 = \text{CO}_2 + \text{H}_2\text{O}$ ; (ფორმალდეჰიდის დაჟანგვის რეაქცია);  $K = 1 * 44/30 = 1,47$

1 ტონა მეთანის დაჟანგვის რეაქციით მიიღება 2,75 ტონა ნახშირორჟანგი

3379,299 ტ/წელ \* 2,75ტ/ტ = 9293,072 ტ/წელ;

1 ტონა ქსილოლის დაჟანგვის რეაქციით მიიღება 3,32 ტონა ნახშირორჟანგი

28,276 ტ/წელ \* 3,32ტ/ტ = 93,876 ტ/წელ;

1 ტონა ტოლუოლის დაჟანგვის რეაქციით მიიღება 3,35 ტონა ნახშირორჟანგი

46,166 ტ/წელ \* 3,347 ტ/ტ = 154,517 ტ/წელ;

1 ტონა ეთილბენზოლის დაჟანგვის რეაქციით მიიღება 3,32 ტონა ნახშირორჟანგი

6,090 ტ/წელ \* 3,32 ტ/ტ = 20,219 ტ/წელ;

1 ტონა ფორმალდეჰიდის დაჟანგვის რეაქციით მიიღება 1,47 ტონა ნახშირორჟანგი

6,156 ტ/წელ \* 1,47 ტ/ტ = 9,049 ტ/წელ;

$\text{CO}_2$  სულ  $\approx 9570,733$  ტ/წელ;  $\text{CO}_2$  სულ:  $(9570,733 \text{ ტ/წელ} * 10^6 / 365 * 24 * 3600) \approx$

303,486

გ/წმ.

არაორგანული ნივთიერებიდან ამიაკის დაჟანგვის რეაქცია მიმდინარეობს აზოტისა და წყლის ორთქლის გამოყოფით.  $4\text{NH}_3 + 3\text{O}_2 = 2\text{N}_2 + 6\text{H}_2\text{O}$ , ამდენად მავნე

ნივთიერებები არ გამოიყოფა;

ნახშირბადის, აზოტისა და გოგირდის ოქსიდების ოდენობა უცვლელი დარჩება (შესაბამისად №2 ცხრილისა), ხოლო გოგირდწყალბადი გარდაიქმნება გოგირდის დიოქსიდად ფორმულით:

$2\text{H}_2\text{S} + 3\text{O}_2 = 2\text{SO}_2 + 2\text{H}_2\text{O}$ ; კონვერსიის კოეფიციენტი - 1,88;

$M_{\text{SO}_2} = M_{\text{H}_2\text{S}} (0,056) * 1,88 = 0,105$  გ/წმ;  $G_{\text{SO}_2} = G_{\text{H}_2\text{S}} (1,667) * 1,88 = 3,134$  ტ/წელ.

ჩირაღდანზე მიწოდებული მეთანის წვისას გამოყოფა გაანგარიშებულია [6]-ეს დანართ 107-ით

აზოტის დიოქსიდი ემისია:  $4732911,764 \text{ მ}^3/\text{წელ} \cdot 10^{-3} \times 0,0036 = 17,038 \text{ ტ/წელ};$   
 $17,038 \times 10^6/8760 \cdot 3600 = 0,54 \text{ გ/წმ}.$

ნახშირბადის ოქსიდის ემისია:  $4732911,764 \text{ მ}^3/\text{წელ} \cdot 10^{-3} / 0,000714 \times 0,0089 = 42,123$   
 $\text{ტ/წელ};$

$42,123 \times 10^6/8760 \cdot 3600 = 1,335 \text{ გ/წმ}.$

ამრიგად საჭიროა დანე მოწყობილობიდან ჯამური ემისია წარმოდგენილია ცხრილ  
 12-ში.

ცხრილი 12.

კოდი	ნივთიერების დასახელება	ემისია გ/წმ	ემისია ტ/წელ
301	აზოტის დიოქსიდი	$(0,192+0,54) = 0,732$	$(5,694+17,038) = 22,732$
330	გოგირდის დიოქსიდი	$(0,151+0,105) = 0,256$	$(4,489+3,134) = 7,623$
0337	ნახშირბადის ოქსიდი	$(0,542+1,335) = 1,877$	$(16,096+42,123) = 58,219$
0000	ნახშირორჟანგი	$(96,176+303,486) =$ 399,662	$(2858,017+9570,733) =$ 12428,75

აღნიშნული წყარო განიხილება როგორც სტაციონარული და ორგანიზებული.

#### 3.4 ნაგავსაყრელის ძირითადი კომპონენტები

სტრუქტურული ერთეულები	ფუნქციები და მახასიათებლები
ნაგავსაყრელის შესასვლელი ჭიშკარი და ღობე	<ul style="list-style-type: none"> <li>ჭიშკარი მოწყობილია ბოძებით და მავთულით (3 მ სიმაღლის); მთავარი ჭიშკარი დისტანციურად იმართება</li> </ul>
ნაგავსაყრელის შიდა გზები	<ul style="list-style-type: none"> <li>მოხრეშილი და ასფალტის შიდა გზები</li> </ul>
წყალმომარაგება	<ul style="list-style-type: none"> <li>სასმელი წყალი ადგილზე მიტანით</li> <li>ტექნიკური წყალი ადგილობრივი ჭაბურღილიდან</li> </ul>
ელექტრომომარაგება	<ul style="list-style-type: none"> <li>ელექტრო ქსელი გზის განათების ჩათვლით</li> </ul>
მიწისქვეშა წყლების მონიტორინგი	<ul style="list-style-type: none"> <li>მინიმუმ 3 წყლის მონიტორინგის ჭა (1 დინების ზემოთ და 2 დინების ქვემოთ მიმართულებით)</li> </ul>
ნაჟონი წყლების შეგროვების სისტემა	<ul style="list-style-type: none"> <li>ნაჟონი წყლების მიღები განთავსებულია ქვედა შრეზე დახრილობით 3% (Leachate pipes placed on a roof profiled base lining with an inclination of 3%).</li> </ul>

სტრუქტურული ერთეულები	ფუნქციები და მახასიათებლები
	<ul style="list-style-type: none"> <li>• მილის მანძილი (distance) 30 მ</li> <li>• ნაჟონი წყლების შეგროვების მილები HDPE 2/3 პერფორაციით</li> <li>• ნაჟონი წყლების და სატრანსპორტო მილების შიდა დიამეტრი 300 მმ</li> <li>• ნაჟონი წყლების შესაგროვებელი თითოეული მილის ბოლოში განთავსებულია გამოსასვლელი (manholes)</li> </ul>
ნაჟონი წყლების შეგროვების ავზი	<ul style="list-style-type: none"> <li>• ბეტონის ძირი და კედლები</li> <li>• დაფარული HDPE 2.0 მმ გეომემბრანით</li> </ul>
ნაჟონი წყლების მონიტორინგის ჭები	<ul style="list-style-type: none"> <li>• დამზადებულია ბეტონის HDPE მილებით</li> </ul>
ნაჟონი წყლების გამწმენდი ნაგებობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• უკუოსმოსის ნაგებობა სიმძლავრით 120 მ<sup>3</sup>/დღეში (პიკური სიმძლავრე 132 მ<sup>3</sup>/დღეში) რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: <ul style="list-style-type: none"> <li>- გამათანაბრებელი, სალექარი და და შესანახი ავზი;</li> <li>- ფილტრაციის სისტემა წინასწარი გაწმენდისთვის;</li> <li>- უკუოსმოსის 2-საფეხურიანი სისტემა;</li> <li>- დეგაზაციის სისტემა; და</li> <li>- იონების მიმოცვლის სისტემა NH<sub>4</sub>-N მნიშვნელობების შესამცირებლად, იმისათვის რომ მიღწეულ იქნას მდინარე უმჩარაში ჩაშვების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების მნიშვნელობები.</li> </ul> </li> </ul>

სტრუქტურული ერთეულები	ფუნქციები და მახასიათებლები
<ul style="list-style-type: none"> <li>აირების შეგროვების აუზები/ჭები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>აირების შეგროვება ვერტიკალური აირების ჭებში</li> <li>აქტიური დეგაზაცია (with blower system)</li> <li>ინსინერაცია მაღალი ტემპერატურის ალში (Incineration in a high-temperature flare)</li> <li>ნაგავსაყრელის აირის გამოყენების ალტერნატივა ელექტროენერგიის წარმოებისთვის</li> </ul>

### 3.5 ემისია დამხმარე ინფრასტრუქტურიდან და მანქანა მექანიზმებიდან

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის საფუძველზე განსაზღვრულია ნარჩენების განთავსების ობიექტის ყოველდღიური ოპერირებისთვის საჭირო შემდეგი მოძრავი აღჭურვილობა:

- ერთი ფოლადის ბორბლებიანი კომპაქტორი (28 ტ)
- ერთი ბულდოზერი (18 ტ)
- ერთი თვითმცლელი (20 ტ)
- ერთი ბორბლებიანი სატვირთველი (3მ<sup>3</sup>)
- ერთი პიკაპი (1.5 ტ)

ჩამოთვლილი ტექნიკა და სატვირთო ავტომობილები წარმოადგენენ ძირითად საჭირო აღჭურვილობას.

აღჭურვილობის დასახელება	რაოდენობა	დანიშნულება
კომპაქტორი	1	ნარჩენების კომპაქტირება
ბულდოზერი	1	ნარჩენების და გადასაფარი მასალების გადატანა
ბორბლებიანი მტვირთავი	1	ნარჩენების და გადასაფარი მასალების გადატანა; ტრანსპორტირება ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე
სატვირთო (18 ტონა)	1	ნარჩენების და გადასაფარი მასალების ტრანსპორტირება
სატვირთო წყლის ავზით	1	წყლის შესხურება მტვრის შესამცირებლად
პიკაპი	1	მასალების და მოწყობილობების ტრანსპორტირება
მიკროავტობუსი	1	პერსონალის ტრანსპორტირება

### 3.6 ემისია დიზელის რეზერვუარიდან (გ-1)

მანქანა მექანიზმების (კომპაქტორი, ბულდოზერი) და სატრანსპორტო აღჭურვილობის (სატვირთო, მიკროავტობუსი, პიკაპი და ა.შ.) საწვავით უზრუნველსაყოფად ადგილზე გათვალისწინებული საწვავით მომარაგების სიტემის უზრუნველყოფა, რომელიც წარმოდგენილი იქნება 5 მ<sup>3</sup> მოცულობის დიზელის მიწისქვეშა კონსტრუქციის რეზერვუარითა და ერთი საწვავ სარიგებელი სვეტწრებით.

